F 2.015
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დედა ენა

## ნაწილი პირველი

სახელგამი 1957

499.962.1-81
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა ენა

## პირველი ნაწილი

# ანბანი



შედგენილია იაკობ გოგებაშვილის
«დედა ენის» მიხედვით
ნ. ბოცვაძისა და ქ. ბურჯანაძის მიერ

მე-14 გამოცემა

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР
საჯარო ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორები { პროფ. გ. თავზიშვილი
აკად. არნ. ჩიქობავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

















ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ია

ი ა

აი ია

ია აი



აი ია



ეროვნული ბიბლიოთეკა



თითი

თი-თი

თ ი თ ი

თ

თი-თი. თა-თი. თი-თა.

აი ია. ათი თითი. აი თათი. აი ათი ია.

აი თითი. აი ათი თითი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



საათი

სა-ა-თი

ს ა ა თ ი

ს

სა-ა-თი. თა-სი. სა-სა. სი-ა.

აი საათი. აი სასა. ის თასია.

ათი საათი.

აი სია. ის საათია. ის თათია.

აი თითი. აი ათი თითი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



თხა

თხა

თ ხ ა

ხ

თი-ხა. ხა-ხა. თხა.

აი თხა. აი თიხა. ათი თხა. აი ხახა.

ათი საათი. ის თასია. აი ათი თასი.

აი ათი თხა.





თოხი

თო-ხი

თ ო ხ ი

ო

თო-ხი. სო-სო. ხი-ო. ო-თა-ხი.

აი თოხი. ოთხი თოხი. აი ათი თოხი. აი ოთახი. ოთხი ოთახი.

აი ათი თასი. ოთხი საათია.

აი სოსოს საათი. ის სოსოს თოხია. ის ხის ოთახია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ხე

ხ ე

ე

ხე. სე-სე. სა-ხე. თე-ო. ი-ა-სე. სა-თი-თე.

აი სახე. ეს ხეა. ეს სათითეა. აი ოთხი ხე. აი თეოს თასი.

ეს თეოს სათითეა. ის სესეს სა-ათია. ეს იასეს თოხია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



უთო

უ-თო

უ თ ო

უ

თუ-თა. უ-თო. ხუ-თი.

ხუთი თითი. ათი თუთის ხე. ეს უთოა. აი ხუთი უთო.

აი თუთა. ეს თუთის ხეა. თუთის ხეს ასხია. აი ხუთი სათითე. აი სესეს თხა.

უთუთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუა

მუ-ა

მ უ ა

მ

მე. მუ-ა. მი-ა. მი-მა. თე-მო.

აი მუა. ეს თემოა. სოსო სესეს მეა. აი სოსოს მია. მია სოსოს ემახის. ეს იასეს ოთახია.

ეს მიას თუთის ხეა.

მ მუა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხა

მუ-ხა

მ უ ხ ა

მ

მა-მა. მა-ხე. მუ-ხა. მე-ხი. თმა. მთა. ძმა. მა-ხა-თი.

მუხა ხეა. აი სამი მუხა. ეს მათეს ოთახია. აი მახე. ეს მუის მახეა. თომა მიხას ძმაა. ეს მაიას მახათია. ეს უთო მძიმეა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



შეშა

შე-შა

შ е შ ა

შ

მუ-შა. მუ-შა. შე-შა. შო-თი. ხა-ში. შო-ში-ა.

შოთა მუშაა. აი მუხის შეშა. ეს შეშა მათესია. შოშია იძახის. მაშოს შოშიას ხმა ესმის. აი სამი შოთი. შიო ოთახშია. მია შიო შოთას ეძახის. შოთას მიას ხმა მოესმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სოკო

სო-კო

ს ო კ ო

კ

კუ. კო-კა. კა-მა. თო-კი. მკა. კომ-ში. სკა-მი. მი-ხა-კი.

აკაკი მაიას ძმაა. აი კეკეს კოკა. იმ კომშის ხეს ასხია. ამ ოთახში ოთხი სკამია. კესო ძმას ეძახის. მაიკოს მამა მკის.

ეს მიხას კომშის ხეა. ოთახში ოთხი კუთხეა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



იხვი

იხ-ვი

ი ხ ვ ი

ვ

თა-ვი. თი-ვა. ვა-კე. შაშ-ვი. ხახ-ვი. ხავ-სი. მეხ-ვი. თავ-თა-ვი.

აი თივა. აი ხევი. შაშვი შავია. ეს ხის ხავსია. მიამ ხახვის თესვა მოათავა.

მაშომ ხუთი ხახვი ისესხა.

შოთამ შიოს თოკი სთხოვა. შიომ თოკი ათხოვა. აი მაიას იხვი. მაია იხვს ემახის.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გემი

გე-მი

გ ე მ ი

გ

გი-გო. გი-ვი. თაგ-ვი. გო-ში-ა. გუ-მა-გი.

მაკამ მეხვი გააკეთა. კეკეს გოშია შავია. გოშია ავია. მამომ სოკო გაახმო. თიკო ოთახს გვის. ეს თიკოს სათამაშო უთოა.

გიგომ თხა აუშვა. მესაათემ ვასოს საათი შეუკეთა.

გემის ხმა ისმის. გემი აუშვეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გივის გემი.

გივის გემის ხმა მოესმა.

— გივი, გივი, ხომ გესმის გემის ხმა? — შეეკითხა მამა გივის.

— მესმის, მესმის. გემი ასე იძახის: გუუ-გუუ!

მამამ გივის სათამაშო გემი გაუკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თოფი

თო-ფი

თ ო ფ ი

ფ

ფა-ფა. ფე-ხი. მა-ფი. კე-ფა. თეფ-ში. ო-ფო-ფი.

აი კეფა. ეს კოფოა. ოფოფი იმახის. კესო მაფს ახვევს. ეს მაფი შავია.

გიოს თხა მოვს. გივი ხეს კაფავს.

სოფომ თასი თუთით გაავსო. ფეფომ მაიკოს თეფში სთხოვა. მაიკომ თეფში ათხოვა.

ფ ფა ფა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გიგას თოფი.

აი გიგა თავისი ხის თოფით. ეს სათამაშო თოფი გიგას ძიამ გაუკეთა.

— მათხოვე, გიგა, თოფი! — სთხოვა სოსომ გიგას.

გიგამ სოსოს თოფი ათხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნავი

ნა-ვი

ნ ა ვ ი

ნ

ნუ-ში. ფო-ნი. ნე-კი. ნემ-სი. ნავ-თი. კა-ნა-ფი. ვე-ნა-ხი. გუ-თა-ნი.

გიგო ვენახს თოხნის. ეს ნაძვის ხეა. ვანო გუთნით ხნავს. ეს კანაფის თოკია. ვასომ ფონი მონახა. ვასო მენავეა. ეს მუხის ნავია. ნუნუს სძინავს. თინა სანავთეში ნავთს ასხამს. აი ნემსი. ნემსში შავი ძაფია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამი ამხანაგი.

— მანანა, ეს კომში ვისია? — შეეკითხა ნიკო მანანას.

— თინასია, სთხოვე!

ნიკომ თინას კომში სთხოვა.

— აი, ნიკო, ეს კომში შენ, ეს კომში მანანას, ეს კი მე, — იძახის თინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თევზი

თევ-ზი

თ ე ვ ზ ი

ზ

ზე-თი. ვა-ზი. ე-ზო. ზვი-ნი. კოვ-ზი. ზუ-თხი. ნი-გო-ზი. გა-ზე-თი. კო-ზა-კი.

ეზოში თივის ზვინია. ზუთხი თევზია. ეს თამაზის გაზეთია. თამაზმა გაზეთში ამოიკითხა: თენგიზი ხუთოსანია. თენგიზი თამაზის ამხანაგია. მზია თოკს ახვევს. ფეფემ ნიგოზი შეინახა.

მზიამ მძივი აასხა. გიგომ გზაზე კოზაკი ნახა. ანიკოს ოთახი მზიანია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვანოს ეზო.

ვანოს ეზო სუფთაა. ეზოში თუთის ხეა. ხესთან თხაა.

ეზოს კუთხეში თივის ზვინია. ზვინთან შავი ნაგაზია. ნაგაზი ავია.

თხას ნაგაზისა ეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერხი

მერ-ხი

მ ე რ ხ ი

რ

უ-რო. ზა-რი. ხა-რი. მე-რა. მრო-ხა. კრუ-ხი. უ-რე-მი. ფა-ფა-რი. ნა-ხი-რი. მოზ-ვე-რი.

ხარი მოვს. მუხას რკო ასხია. ირინეს მამა კარგი მეომარია. ის გმირია. ეთერი მროხის რძეს სვამს. თამრო მერხზე ზის.

ეზოში კრუხის კრიახი ისმის. კრუხი მერამ შეაშინა. რეზომ ხარის ხმა გაიგონა. მხერხავი მეშას ხერხავს. მენახირემ ნახირი მორეკა.

რ ხარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამხანაგს მიეხმარნენ.

— ვანო, რეზო, მომეხმარეთ, სკამი გავაკეთოთ, — ეძახის ნიკო ორ ამხანაგს.

— მივეხმაროთ ნიკოს! — უთხრა ვანომ რეზოს.

— მივეხმაროთ, მივეხმაროთ! — იძახის რეზო.

ორი ამხანაგი ნიკოს მიეხმარა.

სამივემ კარგი სკამი გააკეთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩანთა

ჩან-თა

ჩ ა ნ თ ა

ჩ

ჩი-რი. ჩი-თი. ჩა-ი. ჩო-ხა. ჩარ-ჩო.
კა-მე-ჩი. ჩა-მი-ჩი. ფუ-ჩე-ჩი. ჩო-ჩო-რი.

ფუჩეჩი გახმა. ჩოჩორი მოვს. ჩვენ ჩირი შევინახეთ. მარომ ჩაი მოკრიფა. ირინე მაროს ჩაის კრეფაში მოეხმარა. ჩვენი ჩაი კარგია. თამაზი ეზოში შეშას ჩეხავს.

ნანომ თორნეში ჩამიჩი გაახმო. რეზომ ჩანთა შეინახა. ვანომ სურათს ჩარჩო გაუკეთა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მამამ გაახარა.

— ზურიკო, აი შენი ჩანთა, — უთხრა მამამ ზურიკოს, — ეს ჩანთა კი შენია, — მიმართა გიას.

უხარია ორივეს მშვენიერი ჩანთა.

— რა კარგი ჩანთაა, მამა! — შესძახა ზურიკომ.

— ჩემი უკეთესია! — ისმის გიას ხმა.

— არა, ორივე კარგია! ჩემო ზურიკო, ჩემო გია, იშრომეთ ისე, რომ გამახაროთ, — უთხრა მამამ ორივეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაფა

და-ფა

დ ა ფ ა

დ

დე-და. ხი-დი. დრო-შა. გო-დო-რი. შინ-დი. ნა-დი-რი. მდი-ნა-რე. რა-დი-ო.

სიმინდი შემოვიდა. დათვი ნადირია. მდინარეზე ხიდი ააგეს. ჩვენ შინდი გა-ვახმეთ. გამხმარ შინდს კერკს ვეძახით. გაზეთი მოვიდა. დედა გაზეთის კითხ-ვას შეუდგა.

სამგორში დიდი არხი გაკეთდა.

ნუნუს მამამ კარგი რადიო დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუმ რადიოში მოისმინა, რომ მისი მამა შრომის გმირია.





## ორი მეთევზე.

დათა და თედო ადრიანად გაეშურნენ სათევზაოდ.

დათამ ანკესი მდინარეში ჩააგდო.

აი, ანკესის თოკი შეინძრა. დათამ ანკესი მარდად ამოაგდო. ზედ თევზი ეკიდა.

თევზის დანახვამ ორივე მეთევზე გაახარა.

დიდხანს ითევზავეს. ვედრო თევზით გაავსეს და შინისაკენ გაეშურნენ.

დედამ თევზი მოხარშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღორი

ღო-რი

ღ ო რ ი

ღ

ღო-მი. კო-ღო. ღა-მე. ღღე. ღერ-მი. სა-ღო-რე. ღა-მუ-რა. ფუ-ღუ-რო.

ღამურა ღამით დაფრინავს. ზამთარში ღამე დიდია. ღორი შინაური ოთხფეხია. მინდორში მუხა დგას. მუხას რკო ასხია. მუხის ძირას ღორია. ღორი რკოთი გაძღა და გაგორდა.

შემოდგომაზე მზე გვიან ამოდის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე ჩადის. შემოდგომაზე ღამე დღეზე უფრო დიდია.

ღომი შემოდგომაზე შემოდის.





## სიმინდი შემოვიდა.

შემოდგომა დადგა. სიმინდი უკვე შემოვიდა. ჩვენ სამუშაოდ გავედით. გაისმა საამური სიმღერა.

სიმინდით სავსე გოდორი გოდორს მისდევს. სიმინდი მივზიდეთ, გავარჩიეთ და სასიმინდეში შევინახეთ.

ფუჩეჩი ზამთრისათვის ხარ-კამეჩს შევუნახეთ.

გვიხარია შრომის კარგი შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამალი

მა-მა-ლი

მ ა მ ა ლ ი

ლ

ლო-მი. სკო-ლა. მაღ-ლი. ლი-მო-ნი. ღუ-მე-ლი. ხე-ლო-სა-ნი. ელ-მა-ვა-ლი. ფორ-თო-ხა-ლი.

თოვლი თეთრია. თოვლი ზამთარში მოდის. ღუმელი გავახურეთ. ლომი ძლიერი ნადირია. ჩვენს სოფელს მდინარე ჩამოუდის. სკოლაში ზარის ხმა გაისმა.

ამ დიდ სახლში სკოლაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი შინაური ოთხფეხია. ფორთო-
ხალი გემრიელია.
ნათელამ სამელნეში მელანი ჩაასხა.





## ნათელა.

ნათელა დილით შვიდ საათზე ადგა. გოგონამ გაკვეთილი გაიმეორა, ისაუზმა, ჩანთა აიღო და სკოლისაკენ გაეშურა. გზაში ფრთხილად მიდიოდა.

ნათელა სკოლაში თავის დროზე მივიდა. ის მუდამ დროზე მიდის სკოლაში.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ქუდი

ქუ-დი

ქ უ დ ი

ქ

ზა-ქი. ქი-ლა. ქე-რი. ქა-თა-მი. ქო-თა-ნი. აქ-ლე-მი. მან-ქა-ნა. ფან-ქა-რი. ქა-ღალ-დი. ქაფ-ქი-რი.

თამრომ ფანქარი გათალა. ზაქი კამეჩის შვილია. აგარაში შაქრის ქარხანაა. ილიკო ქვანახშირის მაღაროს მუშაა. აქლემს კუზი აქვს. აქლემის შვილს კოზაკს ვეძახით.

ქათამი ქანდარაზე ზის.

რუსთავი ახალი ქალაქია. რუსთავში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქარხანა აშენდა. ვანო რუსთავში მანქანით გაემგზავრა.

ქაფქირით ქაფს ხდიან.






## ჩვენი ნიკორა.

გუშინ ჩვენმა ფურკამეჩმა ზაქი მოიგო. ზაქი ლამაზია. თავზე მას თეთრი ნიშანი აქვს. სახელად ნიკორა დავარქვით. კამეჩი ხშირად ლოკავს თავის შვილს.

დედამ თქვა: კამეჩის რძე მსუქანია, ჩვენი კამეჩის რძეს მალე დავლევთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პეპელა

პე-პე-ლა

პ ე პ ე ლ ა

პ

პუ-რი. პა-პა. სპი-ლო. სა-პო-ნი. პე-რან-გი. პი-ო-ნე-რი.

ნოდარი პიონერია.

შემოდგომაზე პაპამ ხახვი ამოიღო. პელომ ვაშლი მოკრიფა. ქალაქის საკონსერვო ქარხანამ პამიდორის კონსერვი დაამზადა.

ზოოპარკში ქეთომ სპილო ნახა. სპილოს დიდი ხორთუმი და ორი ეშვი აქვს. სპილო ძალიან ღონიერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მია პავლე პურის ქარხნის მუშაა.
ანიკომ თორნეში პური ჩააკრა.





## მფრინავი პავლე.

გათენდა. მზემ არემარე გაანათა. დილის რვა საათია. მფრინავი პავლე უკვე თვითმფრინავში ზის. პავლემ თვითმფრინავში ათი მგზავრი ჩასვა. იგი ქუთაისში მიფრინავს.

პავლემ თვითმფრინავი მომართა. გაისმა გუგუნი. თვითმფრინავი ზევით-ზევით ავიდა.

პავლე საუკეთესო მფრინავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბუდე

ბუ-დე

ბ უ დ ე

ბ

ღო-ბე. ბუ-ზი. ბა-გა. ბამ-ბა. ბურ-თი. ბე-ღე-ლი. ო-ბო-ბა. ბუ-ხა-რი. ბულ-ბუ-ლი.

ობობა ქსელს აბამს. პავლეს ბიძამ ბურთი აჩუქა. ბამბა თეთრად გაიშალა. ბამბისაგან ფაბრიკაში მაფს ართავენ.

ბულბული მგალობელი ფრინველია. პაპა არჩილი კოლმეურნეა. ის ჩინებულად მუშაობს.

პელომ ხელ-პირი საპნით დაიბანა. ქეთოს მამა ფეიქარია. იგი აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობს.

ბავშვთა ბაგაში ბავშვებს კარგად უვლიან.

ბ ბ უ ლ უ ლ ი



## ბულბული.

ბაღიდან ბულბულის საამური გალობა ისმოდა. პავლემ და პელომ მახე დაუგეს. ბულბული მახეში გაება. ბავშვებმა ბულბული გალიაში ჩასვეს. ბულბული დაღონდა, აღარ გალობდა. გაუღეს გალიის კარი და გაუშვეს.

ბულბული გაფრინდა, გაისმა მხიარული გალობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბაყაყი

ბა-ყა-ყი

ბ ა ყ ა ყ ი

ყ

ყე-ლი. ყუ-რი. ყვა-ვი. ყვე-ლი. ყა-ყა-ჩო. ყა-ვა-რი. ყი-ნუ-ლი. ყურ-ძე-ნი. მაყ-ვა-ლი.

ყაყაჩო ლამაზი ყვავილია. ყვავი ჩხავის. ბაყაყი ყიყინებს. შაქრომ სახლი ყავრით დახურა. დედამ მარანში ყურძენი შეინახა. სითბოსაგან ყინული დნება.

მერაბი ამ ზაფხულს პიონერთა ბანაკში იყო. იქ კარგად დაისვენა.

ჰელოს მამა ყელ-ყურის ექიმია.
მაყვლის ბარდი ეკლიანია.

ყ ჩ ა ყ ა ყ ი



## რთველი.

დადგა შემოდგომა. ყურძენი შემოვიდა. კოლმეურნე გლეხები ყურძნის კრეფას შეუდგნენ.

საამური სანახავი იყო ვენახი. ვაზებზე მოჩანდა ქარვასავით ყვითელი ყურძენი. ყურძენს მანქანებით მარანში ეზიდებოდნენ.

ბავშვები უფროსებს ყურძნის კრეფაში ეხმარებოდნენ.

— აი ჩხა! აი აკიდო! — ისმოდა ბავშვების ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხენი

ცხე-ნი

ც ხ ე ნ ი

ც

ცუ-ლი. ცე-ლი. ცე-რი. ცხვა-რი. ცარ-ცი. ციუ-ვი. სა-ცე-რი. მერ-ცხა-ლი.

ცხენი ხვიხვინებს. ცხვარი ბღავის. პურის ქარხანაში ცომს მანქანებით ზელენ. მაუვალამ და კაკომ დილით ბალახზე ცვარი შენიშნეს.

ცული და ცელი სამუშაო იარაღია. ცელით ბალახს თიბავენ. ცულით შეშას აპობენ.

ცხენი სასარგებლო ცხოველია.

ჩვენმა კოლმეურნეობამ საუკეთესო ცხენები მოაშენა.

ჩვენი ცხენოსანი არმია ძლიერია.

ც ც ი ყ ვ ი



## ციყვი.

შემოდგომა მიდის. ციყვი ზამთრისათვის ემზადება. ბინა მუხის ფუღუროში აქვს. შიგ ხავსი უგია.

საკვებიც ბლომად მოიმარაგა: კაკალი, თხილი, რკო. ახლა ციყვს შიმშილისა აღარ ეშინია. ზამთრის სიცივე ციყვს ვერაფერს დააკლებს. მას თბილი, ფაფუკი ქურქი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კატა

კა-ტა

კ ა ტ ა

ტ

ტი-ვი. ქა-ტო. ჩი-ტი. ტო-რო-ლა. ტა-ბი-კი. ფუტ-კა-რი. ტე-ლე-ფო-ნი. ავ-ტო-მო-ბი-ლი.

ტოროლა ცაცხვის ტოტზე ზის. ფუტკარი თაფლს გვამლევს. თაფლი ტკბილია. მდინარეზე ტივი მიცურავს. ტოროლამ საამური სტვენა იცის.

ტატო მინდორს ტრაქტორით ხნავს. ტრაქტორი ჩქარა და კარგად მუშაობს.

ქუთაისში საავტომობილო ქარხანა აშენდა. ქარხანა კარგ მანქანებს ამზადებს.





## კოლმეურნის სიხარული.

ტრაქტორი ხნავს მინდორ-ველებს,
ავტოები სცვლიან ურმებს,
მოსავალი უხვად მოდის,
უხარია კოლმეურნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წიწილა

წი-წი-ლა

წ ი წ ი ლ ა

წ

წე-რო. წა-მა-ლი. წიგ-ნი. მო-წა-ფე. წი-წა-კა. წურ-ბე-ლა.

წიწილა წივის. ქინაქინა ციების წამალია. სალეწი მანქანა კარგად მუშაობს.

წიფელი ხეა. წიფლის ნაყოფს წიწიბოს ემახიან. ჩვენმა მასწავლებელმა წიგნები მოგვიტანა. დედამ პატარა ტატოს თბილი წინდები მოუქსოვა.

ზურაბი წიგნს კითხულობს.

წელს ჩვენს სოფელში აფთიაქი და სამკითხველო გახსნეს.

ნატომ ნიორი დაწნა. ნივრის წნულს გალას ვეძახით.





## ყაყაჩო და ყმაწვილი.

ყაყაჩოსა სიწითლითა
მდელო დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიქა

ჭი-ქა

ჭ ი ქ ა

ჭ

ჭა-ლა. ჭა-ჭა. ჭინ-ჭა-რი. ჭრი-ჭი-ნა. კაჭ-კა-ჭი. ჭარ-ხა-ლი. ჭი-ან-ჭვე-ლა.

კაჭკაჭი გარეული ფრინველია. ჭიანჭველა პატარა მწერია. მას შრომა უყვარს.

ჭაობი ციების ბუდეა. ჩვენში ჭაობებს აშრობენ. ბევრი ჭაობი უკვე ამოაშრეს. იმ ადგილებზე ახლა მშვენიერი ყანები და ბაღებია გადაჭიმული.

კოლმეურნეობამ ჭარხლის დიდი მოსავალი მიიღო. ჭალაში წისქვილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართული. ჭოლამ წისქვილში საფ-
ქვავი წაიღო.

ჭ ვ ა ჭ ვ ა ჭ ი



## ჩურჩხელები.

დედამ დიდ ქვაბში თათარა მოადუღა. უხარიათ ქეთოს, ბაბუცას, ლადოსა და შაქროს. ხტიან, მღერიან.

დედამ მათ ბევრი ჩურჩხელა ამოუვლო. ორი სარი უკვე გაავსეს ჩურჩხელით.

სად იყო, სად არა, ეზოში შაქროს თხა გაჩნდა. თხა ჩურჩხელებისკენ გაეშურა და ერთი ჩურჩხელა კიდეც იგემა.

ბავშვებმა ყვირილი ატეხეს. შაქრო თხას გამოუდგა. თხა კიკინით გორაკზე ავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯოხი

ჯო-ხი

ჯ ო ხ ი

ჯ

ჯო-გი. ჯაჭ-ვი. ჯე-ჯი-ლი. ჯე-ბი-რი. ხან-ჯა-ლი. ფინ-ჯა-ნი.

ცხენის ჯოგი ტყის პირას ბალახს ძოვს. ხანჯალს ორივე პირი მჭრელი აქვს. ხანჯლის ბუდეს ქარქაში ეწოდება.

ჯეჯილი საამურად ღაღანებს. დარეჯანის მამა სოფლის საბჭოში წავიდა. სოფლის საბჭომ მდინარეს ჯებირი გაუკეთა. საბჭოთა არმია უძლეველია. იგი ფხიზლად სდარაჯობს თავის სამშობლოს. სისუფთავე ჯანმრთელობას ხელს უწყობს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი თბილისი.

გალამაზდა ჩვენი დედაქალაქი. ბევრი ახალი სახლი აშენდა. ფართო და სუფთა ქუჩებში დიდი მოძრაობაა.

ქალაქში მტკვარზე ახალი განიერი ხიდები აიგო. ეს ხიდები მაგარ ბურჯებზეა დაბჯენილი.

ამ ხიდებმა ქალაქის ერთი ნაწილი მეორეს დაუახლოვა.

ქალაქში აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა, სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრი, კინო, ლამაზი ბაღები.

მშვენივრად არის განათებული ჩვენი დედაქალაქი. მიყვარს მშობლიური თბილისი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სასაუბრო.

## სასწავლო ნივთები.




კითხვას რით სწავლობთ? რაში წერთ? რით წერთ დაფაზე? ქაღალდზე? კალამს რაში აწებთ? მელანი რაში გისხიათ? ყველა ეს ნივთი რისთვის გვინდა?

სწავლისათვის გამოსადეგ ნივთებს **სასწავლო** ნივთები ეწოდება.

**დავალება.** ჩამოთვალეთ და დაწერეთ ოთხი სასწავლო ნივთის სახელი.

**გამოცანა.** თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ლენინმა ბავშვებს უანდერძა:
„სწავლა, სწავლა და სწავლა."

## ჩვენ ლენინმა გვიანდერძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დანაბარებს ვასრულებთ,
გვიყვარს სკოლა და წიგნები,
დიდი ლენინის ანდერძის
მუდამ ერთგულნი ვიქნებით.

ჩვენ ვიცით: დიდი სტალინი
ლენინს მთის არწივს ადარებს,
ლენინს ბავშვები უყვარდა,
ლენინი უყვართ პატარებს!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქტომბრის რევოლუცია.

ძველად მშრომელი ხალხი ძალიან ცუდად ცხოვრობდა. მეფე მდიდრებზე ზრუნავდა. ამიტომ მხოლოდ მდიდრები ცხოვრობდნენ ბედნიერად. მუშები და გლეხები კი დაჩაგრულები იყვნენ. ისინი ებრძოდნენ მეფესა და მდიდრებს.

ლენინის ხელმძღვანელობით მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს ოქტომბრის რევოლუცია.

მშრომელმა ხალხმა მოსპო მჩაგვრელები და შექმნა ბედნიერი ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველ დილით.



ყოველ დილით ადრე ვდგები
და მივდივარ სკოლისკენა,
მინდა კარგად შევისწავლო
საყვარელი დედა ენა.

მიყვარს წიგნი, მიყვარს ცოდნა,
მიყვარს შრომა სასახელო,
მინდა ოჯახს გამოვადგე
და სამშობლო ვასახელო.





რის შესწავლა უნდა პატარა გოგონას კარგად?
რა უყვარს გოგონას? ჩამოთვალეთ.
რისთვის სჭირდება ბავშვს ცოდნა, სწავლა და შრომა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექვანი

ექ-ვა-ნი

ე ქ ვ ა ნ ი

ქ

კა-ქი. ქან-გი. ქურ-ნა-ლი.

ელგუჯა ქურნალს კითხულობს. მაწონი მჟავეა. ქანგი რკინეულს აფუჭებს. ირიქრაქა. მთებზე ნისლი ჩამოწვა. დილიდანვე ქინქლლავს. ცივი ქარი ზუზუნებს. ხეს ყვითელი ფოთოლი სცვივა. ბელურები ნამვის ტოტებში შემძვრალან და ქივქივებენ.

რიქრაქზე კურდღლის ბაჭია ბუჩქიდან გამოხტა და ჯეჯილისაკენ გაიქცა.

ბეჟანმა სათამაშო თვითმფრინავი გაა-კეთა.

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა.

ქექვანი



## ნუცას სკოლა.

პატარა ნუცამ თქვა: ჩემს დედოფალებს უთუოდ კითხვა უნდა ვასწავლოო. გადაუშალა წიგნი და ეუბნებოდა: ეს არის ა-ნი, ეს არის ბ-ანი. ისწავლეთ, გენაცვათო.

---

ისწავლიდნენ დედოფალები კითხვას თუ ვერა?
რატომ ვერ ისწავლიდნენ დედოფალები კითხვას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰამაკი

ჰა-მა-კი

ჰ ა მ ა კ ი

ჰ

რე-ჰა-ნი. ჰა-ე-რი. ზა-ჰე-სი.

საათი კედელზე ჰკიდია. თინამ ბოსტანში რეჰანი მოკრიფა. აეროპლანი ჰაერში დაფრინავს.

ჰამაკს თოკისაგან ქსოვენ. დედამ ბაღში ჰამაკი გააბა. ჰამაკში პატარა ქეთო დააძინა.

სუფთა ჰაერი აუცილებელია ჯანმრთელობისათვის. ძილის წინ ოთახში ჰაერი გაასუფთავე.

ზაჭესი ელსადგურია. ჩვენში ბევრი ელსადგური აშენდა.

ჩვენს მურიას ორი ჭრელი ლეკვი ჰყავს.

ჭრუჭანი



## ქორი.

ჭაუ, ჭაუ, ქორო, ნუ ფრენ
აქ ეზოში დილ-დილასო,
ვერ მომპარავ, არ გაგატან
ჩემს პატარა წიწილასო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა და რა სათამაშოა დახატული ამ სურათზე?

ყველაზე მეტად რომელი სათამაშო გიყვარს?



კიდევ რა სათამაშოები იცით?

ყველა ამ ნივთს ს ა თ ა მ ა შ ო ნივთი ეწოდება.

**წერითი სავარჯიშო.** წიგნი. ბურთი. დაწერეთ, ამ ორ ნივთში რომელია სათამაშო და რომელია სასწავლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა ნ ბ ა ნ ი.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი

კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს

ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც

ძ წ ჭ ხ ჯ ჰ



ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ
ფრენ ამ ეზოში ლილ-
ლილასო, ვერ მომპარავ,
არ გაგატან ჩემს პა-
ტარა ნინილასო!

ხერხი სჯობია ღო-
ნესა, თუ კაცი მოი-
გონებსა.

ტყემალი მჟავეა.

ძაღლი ჰყეფს. ჭაჭა.



## სკოლისაკენ.

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი!
აბა, ბიჭო, ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჭერი, ჭერი!

სამუშაოდ ეშურება
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი!
აბა, მარდად, ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჭერი, ჭერი!

---

საით მოუწოდებს ბავშვი ამხანაგებს?

წერითი სავარჯიშო. გადაიწერეთ პირველი ორი სტრიქონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მორიგე.

აჩქარებულ ნაბიჯით
გამოვიდა ბინიდან
და სკოლაში ნოდარი
სულ პირველი მივიდა.

მერცხალივით ბიჭია,
მუყაითი, გამრჯელი,
დაფა გააპრიალა,
გამოაღო ფანჯრები.

---

როგორ მოამზადა ნოდარმა საკლასო ოთახი გაკვეთილისათვის?

**წერითი სავარჯიშო.** ამ კითხვაზე პასუხი გაეცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი კლასი.

სოსო სკოლიდან აღტაცებული დაბრუნდა და დედას უამბო:

— რომ იცოდე, დედიკო, რა კარგია ჩვენი საკლასო ოთახი: დიდი, ნათელი.

მერხები ახალია. მერხების წინ მაგიდაა; მაგიდასთან მასწავლებლის სკამი დგას.

ჩვენი საკლასო ოთახის ფანჯრები დიდია და მზე საამურად აშუქებს ოთახს.

მიყვარს ჩვენი კლასი და ჩვენი სკოლა!

---

რა მოსწონს სოსოს სკოლაში?
აწერეთ თქვენი საკლასო ოთახი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



## არ დაივიწყოთ!

1. დასვენების დროს საკლასო ოთახში არ დარჩეთ!

2. ყოველი დასვენების დროს ფანჯრები გააღეთ და ჰაერი გაასუფთავეთ!

3. საკლასო ოთახი არ მოანაგვიანოთ!

4. გაუფრთხილდით სკოლის ქონებას!

# სასაუბრო.

## ხილი.



რა და რა ხილია დახატული ამ სურათზე? რა ხილი იცით კიდევ? რა ეწოდება ხეს, რომელიც ხილს ისხამს? რომელი ხილია მჟავე? ტკბილი?

რომელია ნაჭუჭიანი? უნაჭუჭო? კურკიანი? უკურკო?

რა ეწოდება გამხმარ შინდს? ბალს? ალუბალს? ვაშლს? მსხალს?

**გამოცანა.** ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო, გიშერაო,
ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საპასუხო.

რის შესახებ ვიტყვით: მწიფე? მკვახე? ნედლი?

**გამოცანა.** გარეთ — ატლასი, შიგნით — ათასი.

**დავალება.** დახატეთ და გააფერადეთ, რომელი ხილიც გინდათ.

**წერითი სავარჯიშო.** თითოეულ კითხვას შესაფერისი პასუხი მიუწერეთ. რომელია ტკბილი? რომელია მჟავე?

მსხალი... ალუბალი...
ტყემალი... ყურძენი...

## წერილი ბებიას.

მუდამ ჩემო სანატრელო,
საყვარელო ბები!
დაგკოცნი და დამიკოცნე
ჩვენი ნაცნობები!

ბები, ჩემო ტკბილო ბები,
აგრემც გენაცვლები,
ბლომად, ბლომად გამოგზავნე
ფეთრი ჩურჩხელები!

სხვა ხილიც არ დაივიწყო:
კომში, ვაშლი, მსხლები,
ჩამიჩი და ლეღვის ჩირი,
თხილი და კაკლები!



---

რას სთხოვს შვილიშვილი ბებიას?



# კეთილი ძმა.

სანდრო და მისი ამხანაგი გივი გაკვეთილის შემდეგ სკოლის ეზოში ჩავიდნენ დასასვენებლად.

გივიმ სანდროს მშვენიერი მწიფე მსხალი უთავაზა. სანდროს უნდოდა ჩაეკბიჩა, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ შინ ავადმყოფი და ჰყავდა. სანდრომ მსხალი შეინახა.

გაკვეთილების შემდეგ სანდრომ შინისკენ გაკურცხლა.

— დედიკო, ქეთოს მსხალი ხომ ეჭმევა? — ჰკითხა სანდრომ დედას.

— როგორ არა, შვილო, — უთხრა დედამ.

სანდრო იმავე წამს თავისი დის ლოგინთან გაჩნდა და მსხალი მისცა. სანდრო სიამოვნებით უცქეროდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბარუნებდა გემრიელი მსხლით.

---

რა მისცა გივიმ სანდროს?
ვის მიუტანა სანდრომ მსხალი?

**წერითი სავარჯიშო.** ეს სიტყვები ისე დაალაგეთ, რომ აზრიანი მოთხრობა მიიღოთ: მსხალი. სანდროს. დას. გივიმ. სანდრომ. ავადმყოფ. მსხალი. მისცა. მიუტანა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ყოველ ნივთს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს.

გაიღვიძებს თუ არა პატარა სანდრო, თავისი ნივთების ძებნას იწყებს. ერთი წინდა სკამის ქვეშ გდია, მეორე—მაგიდის ქვეშ. ცალი ფეხსაცმელი საწოლის ქვეშ არის, მეორე კი სრულიად არა ჩანს ოთახში.

ეძებს სანდრო ტანსაცმელს და ამ ძებნაში სკოლაში იგვიანებს.

---

რატომ იგვიანებს სანდრო სკოლაში?
როგორი ბავშვი ყოფილა სანდრო?

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წესიერი გოგონა.

თინა წესიერი ბავშვია. უყვარს სისუფთავე და წესრიგი.

ერთხელ მას ამხანაგი ლიზა ესტუმრა. ლიზა არ იყო თინასავით წესიერი. მას ავიწყდებოდა თავისი ნივთების მილაგება, სუფთად შენახვა.

თინას ამხანაგის მისვლა ძალიან გაუხარდა. ლიზიკოს უჩვენა თავისი ნახატები, წიგნები და სათამაშოები.

გოგონას ყველაფერი კარგად ჰქონდა მოვლილი. მაგიდაზე გადაფარებული იყო სუფთა ქაღალდი.

— თინა, რა კარგად გაქვს მილაგებული მაგიდა! — აღტაცებით უთხრა ლიზამ. — ჩემს მაგიდას მეც ასე მოვაწყობ და შენსავით კარგად მოვუვლი.

---

რატომ მოეწონა ლიზას თინას მაგიდა?
რა გადაწყვიტა ლიზამ?
**წერითი სავარჯიშო.** გადაიწერეთ ამ მოთხრობიდან პირველი ორი წინადადება.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## სასაუბრო.

### ბოსტნეული.



ჩამოთვალეთ, რას თესავენ ბოსტანში?

ყველა ამას **ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ი** ეწოდება.

რა ფერისაა სტაფილო? ჭარხალი? ბოლოკი? პამიდორი?

---

**წერითი სავარჯიშო.** რა ფერისაა ჭარხალი? სტაფილო? მწიფე პამიდორი? მკვახე პამიდორი? გადაიწერეთ ეს სავარჯიშო. თითოეულ კითხვას შესაფერისი პასუხი მიუწერეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფრინველების გადაფრენა.

გავიდა ზაფხული. ჰაერს შემოდგომის სიგრილემ დაჰკრა. ფრინველებს მოუსვენრობა დაეტყოთ. ისინი ხშირად თავს იყრიან და ჟივჟივებენ. მალე თბილი ქვეყნებისაკენ უნდა გაფრინდნენ. იქ მათ საკვები ბლომად ექნებათ. აქ კი მწერები გაქრა, ხილი მოილია, ჭირნახული აიღეს.

ყველაზე ადრე მერცხლები მიფრინავენ. მათ ბულბული, გუგული, მოლაღური და მწყერი მიჰყვებიან.

---

რომელი ფრინველები მიფრინავენ თბილი ქვეყნებისაკენ? რატომ მიფრინავენ შემოდგომაზე ფრინველები?

**წერითი სავარჯიშო.** გადაიწერეთ ამ მოთხრობიდან პირველი სამი წინადადება.



# ტყეში.

შემოდგომა იდგა. დედამ მარინე და ზურიკო ტყეში სასეირნოდ წაიყვანა.

ტყეში სიჩუმე იყო. ჩიტუნები აღარ ჟივჟივებდნენ. მიწაზე ყვითელი ფოთლების ხალიჩა იყო დაგებული. ხეებს ფოთოლი გასცვივნოდა. მხოლოდ ნაძვი და ფიჭვი იდგა ისევ მწვანედ მორთული.

— დედიკო, რა ლამაზია ნაძვი! — წამოიძახა ზურიკომ.

— მართალია, ნაძვიც ლამაზია და აი ეს ფიჭვიც, — მიუთითა დედამ ფიჭვზე. — ეს იმიტომ, რომ მათ მწვანე ფოთოლი შერჩათ.

— მერე სად აქვს ნაძვს ან ფიჭვს ფოთოლი? — გაოცებით შეეკითხა მარინე.

— აი, ეს ნემსებივით წიწვები ნაძვისა და ფიჭვის ფოთოლია. ესენი ზამთარშიაც მწვანეა, — მიუგო დედამ.

ნაძვის ძირას ზღარბი მიმჯდარიყო. ბავშვების დანახვაზე ზღარბი გორგალივით დამრგვალდა.

---

რა გაიგეს ბავშვებმა დედისაგან?
რა ნახეს ნაძვის ძირას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ რას აკეთებს?



**ზეპირად გაეცით პასუხი**—ვინ რას აკეთებს. ბავშვებს მიეცით სახელები: ანდრო, კობა, მარინე, გივი, ნუნუ, თინა, ლექსო, შაქრო, ვანო.

კითხულობს. წერს. ხატავს. იბანს. თამაშობს. უსმენს. მირბის. იჭერს.

**წერითი სავარჯიშო.** გაეცით პასუხი პირველი ოთხი ნახატის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შემოდგომა.

ცა იღრუბლება საწვიმრად,
ისმის ზუზუნი ქარისა,
ტყე დაღვრემილა, ყვითლდება
სიმწვანე მთა და ბარისა.

მზე იმალება, მარტოკა
ღრუბლებსა ვხედავთ ცაზედა
და აგერ შემოდგომის დღეც
მოგვჩერებია კარზედა.

---

**დავალება.** ამ ლექსის მიხედვით ჩამოთვალეთ შემოდგომის ნიშნები.

**წერითი სავარჯიშო.** გადაწერეთ ამ ლექსის პირველი ოთხი სტრიქონი.

## ირინე მოტყუვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა მიიწურა.

პატარა ირინე ეს არის ახლა ადგა ლოგინიდან და ფანჯარაში გაიხედა.

— დედიკო, დედა! თოვლი მოსულა, თოვლი! — შესძახა ბავშვმა. თან უკვირს: ცა მოწმენდილია და მზეც ამოსვლას აპირებს.

— არა, გენაცვალე, ეგ თოვლი კი არა, რთვილია, — მიუგო დედამ.

ამ დროს მზეც ამოვიდა და რთვილმა ათასფრად დაიწყო ბრჭყვიალი.

ირინე თამაშში გაერთო.

შუადღისას გოგონამ რთვილი ვეღარ ნახა. გაოცდა.

— უი, დედა, რა იქნა რთვილი? — წამოიძახა გაკვირვებულმა ირინემ.

— მზეს ჰკითხე! — მიუგო დედამ ღიმილით.



რა შენიშნა ირინემ დილით?
რა ეგონა ირინეს რთვილი?
რამ გააკვირვა შემდეგ გოგონა?
რა ჰკითხა დედას?
რა პასუხი გასცა დედამ?
რატომ მიუთითა დედამ მზეზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ზამთრის პირი.

შემოდგომა გაგვეპარა,
მიილია, მიიწურა,
ვენახები ჩაიკრიფა,
დასაწური დაიწურა.

მადლიანმა ღვინობისთვემ
კარი ტკბილად გაიხურა;
მზემ სხივები აიკრიფა,
მიწამ ნისლი დაიხურა.

შემოდგომა გაგვეპარა,
არემარეს ნისლი ბურავს
და საცაა დედამიწა
ზამთრის საბანს დაიხურავს.

---

**სიტყვების ახსნა.** ღვინობისთვე — ოქტომბერი.

რატომ ვამბობთ: „ღვინობისთვემ კარი ტკბილად გაიხურა?“

რა არის: „დედამიწის ზამთრის საბანი?“

**წერითი სავარჯიშო.** ამოწერეთ ის გამოთქმები, რომელიც ახასიათებს ზამთრის პირს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზ ა მ თ ა რ ი.

დადგა ზამთარი. ბუნება თეთრად შეიმოსა. თოვლის მოსვლა ბავშვებს ძალიან გაუხარდათ. პატარებს თავი მოუყრიათ ეზოში. აქ გუნდაობენ, იქ თოვლის კაცს აკეთებენ. გორაკიდან სიცილ-კისკისით მოსრიალებენ გივი და ნუცა.

— აბა, მარდად, ჩემო ციგა, გაუსწარი ჩვენს ცელქ ნუცას! — ყვირის გივი და მიქრის.

უცებ ციგა რაღაცას წამოედო და გადატრიალდა. გივი თოვლში ჩაიფლო.

— მშვიდობით, გივი, მშვიდობით! — ყვირის ნუცა და ქვევით მისრიალებს.

---

როგორ შეხვდნენ ბავშვები თოვლის მოსვლას?

როგორ ერთობოდნენ?

რა მოუვიდა გივის?

**წერითი სავარჯიშო.** ამოწერეთ ის ადგილი, სადაც აწერილია ბავშვების გართობა-თამაშობა ზამთარში.

**ენის სავარჯიშო.** დადგა ზამთარი. ბუნება თეთრად შეიმოსა. თოვლის მოსვლა ბავშვებს ძალიან გაუხარდათ.

რა არის ნათქვამი ზამთრის, ბუნების, ბავშვების შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



აწერეთ ეს სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახსოვდეს, ლადო!

დღეს თინას კლასი საექსკურსიოდ იყო წასული ბაღში. გოგონა შინ ცოტა გვიან დაბრუნდა. უკვე სადილობის დრო იყო.

აი, მამაც მოვიდა სამუშაოდან.



თინამ და მამამ ხელი დაიბანეს და მთელი ოჯახი სუფრას შემოუჯდა.

თინამ შენიშნა, რომ მისი პაწია ძმა, ლადო, სადილობას ხელდაუბანელი აპირებდა.

— ადექი, ლადო, ხელი დასაბანი გაქვს. განა არ იცი, რომ ჭამის წინ ხელი აუცილებლად უნდა დაიბანო?!

თინამ ძმას ხელი დაბანა და უთხრა:

— იცოდე, ლადო! ამას იქით ჭუჭყიანი ხელით საჭმელი აღარ აიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა თავის დაიკოს და თან მადიანად ილუკმებოდა.

---

რა შენიშნა თინამ ძმას?
რა დარიგება მისცა თინამ პატარა ძმას?



## გახსოვდეს!

ჭამის წინ ხელი დაიბანე!
ჭამის დროს ნუ აჩქარდები, საჭმელი კარგად დაღეჭე!
ჭამის შემდეგ ხელი დაიბანე და კბილები გაისუფთავე!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პირველი თოვლი.

უმაწვილებო, ერთი შეხეთ,
რა შუქსა ჰფენს თეთრი დილა,
ჩანს, ზამთარი აღარ ხუმრობს,
ჩანს, წუხელვე დათოვლილა!

ჩქარა, ჩქარა გაიღვიძეთ,
გაახილეთ ყველამ თვალი,
რომ არავინ არ დაგვასწროს
პირველ თოვლში კოტრიალი!

---

რატომ ვამბობთ: „თეთრი დილა?“
წერითი სავარჯიშო. გადაიწერეთ პირველი ოთხი სტრიქონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზამთრის საბანი.

— მამილო, თოვლი რისთვისაა საჭირო?—ჰკითხა პატარა მერაბმა მამას.

— თოვლისაგან, ჩემო კარგო, ზამთარი დედამიწას საბანს უკერავს, — მიუგო მამამ.

— საბანს, მამილო? მერე რად უნდა საბანი დედამიწას?

— უსაბნოდ დედამიწის გულში მყოფთ შესცივდებათ და გაიყინებიან.

— ვის სჭირდება დედამიწის გულში სითბო, მამიკო?

— ვისა და ვინც იქ ზამთარს ატარებს, ჩემო პატარავ: პაწაწინა თესლებს, პურის მარცვლებს, ბალახისა და ყვავილების ფესვებსა და იმ მწერებს, რომელთაც თბილად სძინავთ გაზაფხულამდე დედამიწაში.

---

რისთვის არის საჭირო თოვლი?



# ფიფქები.

— შეხე, შალიკო, რა მშვენივრად ბარდნის თოვლი! თითქოს ბამბის მაფები ჩამოუშვიათ ციდანაო.

— არა, მაფებს კი არა, თეთრ ჰეპელებს უფრო ჰგავს, აი ვნახოთ! — და თმახუჭუჭა მიტომ ხელი გაიშვირა. თოვლის რამდენიმე ფიფქი ხელის ზურგზე დაეცა.

— ვარსკვლავსა ჰგავს, ბიჭო, ვარსკვლავს! — შეჰყვირა შალიკომ.

— რა ლამაზია!

— ვაი, დადნა კიდეც, რა მალე!

— უუურე, შენს პალტოს სახელოზე სულ სხვანაირი ფიფქი დაეცა, — უთხრა შალიკომ, — ეგეც ვარსკვლავსა ჰგავს, მაგრამ წეღანდელს კი არა.

ბავშვების გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ნახეს, რომ ყველა ფიფქი თითქოს ვარსკვლავსა ჰგავდა, მაგრამ სულ სხვადასხვანაირი კი იყო.

თანაც უკვირდათ, რომ ხელზე უფრო მალე დადნა ფიფქი, ვიდრე პალტოს სახელოზე.

---

**სიტყვების ახსნა.** ბარდნის — მოდის თოვლის ხშირი და დიდი ფიფქები.

რა შენიშნეს ბავშვებმა?

რა უკვირდათ მათ?

---

**დავალება.** თეთრი ქაღალდისაგან გამოჭერით ფიფქები და შავ ქაღალდზე დააკარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასაუბრო.

### დგამი, ანუ ავეჯი.



სად ინახავთ ტანსაცმელს? რაზე გძინავთ? რაზე სხედხართ? კარადას, ტახტს ავეჯი, ანუ დგამი ეწოდება. კიდევ რა დგამი იცით?

რისგან არის გაკეთებული მაგიდა? სკამი? კარადა? ტახტი? რა და რა ნაწილები აქვს მაგიდას? სკამს? კარადას?

**გამოცანა.** ოთხსა ძმასა, ტანით ტოლსა, თავზე ხურავს ერთი ქუდი.

**წერითი სავარჯიშო.** ეს გამოცანა გადაიწერეთ და ახსნა მიუწერეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსიყვარულე შვილები.

ქეთინოს და ბიძინას მამა ჯარში იყო. ამ დროს დედა ავად გაუხდათ. მოვიდა ექიმი, დედა გასინჯა და უთხრა, რომ ლოგინში წოლილიყო და წამალი ესვა.

„სადილს ვინ გააკეთებს ან ღუმელს ვინ გაათბობს?“ — ფიქრობდნენ ბავშვები.

გადაწყვიტეს: რასაც დედა აკეთებდა, როცა კარგად იყო, ამათაც ის გაეკეთებინათ.

ბიძინა დილით შეშას ჩეხდა, ქეთინო კი ოთახს ალაგებდა. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ქეთინო სადილს აკეთებდა, ბიძინა კი დედას უვლიდა.

მორჩა დედა, მაგრამ ბავშვები მას ბევრი მუშაობის ნებას არ აძლევდნენ.

— შენ ჯერ დაისვენე, დედიკო, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, — ეუბნებოდნენ შვილები.

---

როგორ ჰქონდათ განაწილებული შრომა ქეთინოსა და ბიძინას დედის ავადმყოფობის დროს?

რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

**ენის სავარჯიშო.** ბიძინა დილით შეშას ჩეხდა, ქეთინო კი ოთახს ალაგებდა. რა არის ნათქვამი ბიძინას შესახებ? ქეთინოს შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ო ჯ ა ხ ი.



დავალება. აწერეთ ეს სურათი. ჩამოთვალეთ თქვენი ოჯახის წევრები. ვინ რას აკეთებს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ფეიქარი დედა.

დედა ფეიქარია,
მქსოველია ცნობილი,
მოსწონთ მისი ნაშრომი
აბრეშუმის ქსოვილი.

შინ მოვა, გაგვახარებს
ახალ-ახალ ამბებით:
დღესაც შევასრულეთო
გეგმა გადაჭარბებით.

---

სად მუშაობს დედა?
რას აკეთებს დედა ფაბრიკაში?
როგორ ასრულებს დედა სამუშაოს?
**წერითი სავარჯიშო. პასუხი გაეცით პირველ ორ კითხვაზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბებია და შვილიშვილი.

საღამოა. მამა და დედა თეატრში წავიდნენ. შინ დარჩნენ ბებია და ნუნუ.

ნუნუმ გაკვეთილები მოამზადა. მერე კარადიდან ჩამოიღო სურათებიანი წიგნი და მაგიდას მიუჯდა. ნუნუმ წიგნი გადაშალა და საყვარელ დიდედას ზღაპარი წაუკითხა.

ნუნუ ჩინებულად კითხულობდა.

# ნოდარის საჩუქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარს მამამ სათამაშო ნავი მოუტანა.

გახარებულმა ნოდარმა მეზობელ გივისთან შეირბინა. მეგობრებმა გულდასმით დაათვალიერეს სათამაშო, მერე კი მომართეს და წყლით სავსე აბაზანაში ჩაუშვეს.



— მიცურავს! მიცურავს! — აღტაცებით შესძახეს ბიჭუნებმა.

— ნოდარ, მეც რომ ასეთი ნავი მქონდეს, შევაჯიბრებდით, რომელი გაუსწრებდა!.. — თქვა გივიმ.

ნოდარს მოაგონდა, რომ გივის მამა არა ჰყავდა...

— გივი, ეს ნავი შენი იყოს. მე მამიკოს ვსთხოვ და კიდევ მიყიდის, — უთხრა ნოდარმა გივის.

ნოდარმა სათამაშო ნავი გივისთან დატოვა.

---

**როგორი ბავშვი ყოფილა ნოდარი? საიდან სჩანს?**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



## ამხანაგის დახმარება.

ლექსოს ორი ამხანაგი ჰყავს: თედო და ვანო. ისინი პირველი კლასის მოსწავლეები არიან.

მასწავლებელმა კლასს საშინაო დავალება მისცა: მოთხრობის წაკითხვა და მაგალითის ამოხსნა. ლექსომ მოთხრობა წაიკითხა, მაგალითი კი ვერ ამოხსნა.

მეორე დღეს სკოლაში რომ მივიდა, ამხანაგებს დახმარება სთხოვა.

თედომ მაშინვე ამოიღო თავისი რვეული და უთხრა:

— აჰა, ლექსო, გადაწერე, სწორად მაქვს ამოხსნილი.

ვანომ უთხრა:

— არა, ლექსო, ჯერ აგიხსნი ამ მაგალითსა და მერე შენ თვითონ ამოხსენი.

ვანომ მაგალითი აუხსნა. შემდეგ ლექსომ მაგალითი თვითონ ამოხსნა.

---

რომელი ამხანაგი უფრო სწორად მოიქცა? რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოუფიქრებელი კითხვა.

ერთ კაცს ურმით თივა მიჰქონდა. წინ მგზავრი შემოეყარა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— ეგ რა მიგაქვს?

— შეშა.

— რას ამბობ, კაცო, რის შეშა? თივა გიძევს ურემზე.

— აბა, თვითონვე რომ კარგად ხედავ, რაც მიმაქვს, რაღას მეკითხები?!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## სასაუბრო.

### ჭურჭელი.



რისთვის ხმარობენ სურას? კოკას? ჭიქას? ხელადას? ქვაბს? ბოთლს? ქოთანს? თეფშს? მათლაფას? ლამბაქს? დოქს?

ყველა აქ ჩამოთვლილ ნივთს ჭ უ რ ჭ ე ლ ი ეწოდება.

რისგან აკეთებენ სურას, კოკას, ჭიქას, ქვაბს?

**წერითი სავარჯიშო.** დაასახელეთ და დაწერეთ, რომელია სასწავლო ნივთი? რომელია დგამი? რომელია ჭურჭელი? ქვაბი... ტახტი... ფანჯარი... მათლაფა... რვეული...

# ქორი და იხვი.



ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა და შეჭმას უპირებდა. ამ დროს ზევიდან მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა ახლოს ჩაუქროლა.

ქორი წაეტანა: ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა. ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა.

---

რატომ გაუსხლტა ქორს იხვი კლანჭებიდან?

**ანდაზა.** ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

**წერითი სავარჯიშო.** ანდაზა ზეპირად დაისწავლეთ და დაწერეთ.

# ჩინებული საქციელი.

რეზო სკოლიდან ბრუნდებოდა. პატარა მანძილი რომ გაიარა, ქუჩაში დაინახა მშვენიერი ჯიბის დანა. ტარი სპილოს ძვლისა ჰქონდა.

რეზომ დანა აიღო და გზა განაგრძო. ხედავს, ერთი კაცი ქუჩაში რაღაცას ეძებს.

— ეგებ დანას ეძებს, — გაიფიქრა რეზომ.

მან უცნობთან მიირბინა და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა




— რას ეძებთ, ძია?

— დანა დავკარგე, ჩემო პატარავ!

რეზომ სწრაფად ამოიღო ჯიბიდან დანა და შეეკითხა:

— ეს ხომ არ არის?

— ეგ არის, ჩემო კარგო, გმადლობთ.

რეზომ ძიას დანა მისცა და შინისაკენ გაეშურა.

---

საიდან ბრუნდებოდა რეზო?
რა იპოვა ქუჩაში?
რა უყო დანას?
როგორი ბავშვი ყოფილა რეზო?



# თავი შეაფარეს.

ჩუმად დგანან თოვლით დატვირთული ხეები. სქლად დასდებია ფაფუკი თოვლი მათ გაშიშვლებულ ტოტებს.

— ჭყივ, ჭყივ! ჭყივ, ჭყივ! — ჭყიპინებენ ბეღურები. ბეღურებს შიათ, სცივათ.

ჩიტუნები ცაცხვის გაშიშვლებულ ტოტებზე შემსხდარან და მიგმიგებენ.

— სსსს! — დაისისინა ზამთრის ცივმა ქარმა და ხეების ტოტები ააჭრიალა.

უფრო მეტად შესცივდათ ბეღურებს, უფრო მეტად აჭყიპინდნენ. უცბად შრიალით მოსწყდა ბეღურების მთელი გუნდი ცაცხვის ხეს და ნაძვის ტოტებს შეაფარა თავი.

— სსსს! — სისინებდა ქარი. ბეღურები კი ღრმად შემძვრალიყვნენ ნაძვის ხშირ ტოტებში და ქარის სისინის აღარ ეშინოდათ.

---

სად ისხდნენ ბეღურები?
რა აწუხებდა მათ?
სად შეაფარეს ბეღურებმა თავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნაძვის ხე.

კოხტად მორთული ნაძვის ხე
ცეცხლის ბურთივით კრიალებს,
აქეთ მზის თვალი გამოკრთის,
იქით ვარსკვლავი ბრჭყვიალებს.

შემოხვევიან ცელქები
ყიჟინით, ჟრიამულითა
და გარს უვლიან ნაძვის ხეს
სიცილით მხიარულითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანების ახსნა


| | გვ. |
|---|---|
| წიგნი . . - . . . . . | 62 |
| წაბლი . . . . . . . . | 78 |
| ბროწეული . . . . . | 79 |
| მაგიდა . . . . . . . . | 97 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარჩევი

ნახატები. . . . . . 33
ანბანი.
ოქტომბრის რევოლუცია . . . . . . 65
ყოველ დილით . . . . . . 66
ნუცას სკოლა . . . . . . 68
ქორი—ლექსი . . . . . . 70
სათამაშო ნივთები . . . . . . 71
ანბანი . . . . . . 72
წერის ნიმუში . . . . . . 73
სკოლისაკენ . . . . . . 74
მორიგე . . . . . . 75
ჩვენი კლასი . . . . . . 76
არ დაივიწყოთ! . . . . . . 77
სასაუბრო—ხილი . . . . . . 78
საპასუხო . . . . . . 79
წერილი ბებიას—ლექსი . . . . . . 79
კეთილი ძმა . . . . . . 80
ყოველ ნივთს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს . . . . . . 81
წესიერი გოგონა . . . . . . 82
სასაუბრო—ბოსტნეული . . . . . . 83
ფრინველების გადაფრენა . . . . . . 84
ტყეში . . . . . . 85
ვინ რის აკეთებს? . . . . . . 86
შემოდგომა—ლექსი . . . . . . 87
ირინე მოტყუვდა . . . . . . 88
ზამთრის პირი . . . . . . 89
ზამთარი . . . . . . 90
ასაწერი სურათი . . . . . . 91
გახსოვდეს, ლადო! . . . . . . 92
გახსოვდეს! . . . . . . 93

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი თოვლი . . . . . . . . . . . . . . . . . . 94
ზამთრის საბანი . . . . . . . . . . . . . . . . . . 95
ფიფქები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 96
სასაუბრო—დგამი, ანუ ავეჯი . . . . . . . . . . . . 97
მოსიყვარულე შვილები . . . . . . . . . . . . . . . 98
ასაწერი სურათი—ოჯახი . . . . . . . . . . . . . . 99
ფეიქარი დედა . . . . . . . . . . . . . . . . . . 100
ბებია და შვილიშვილი . . . . . . . . . . . . . . 101
ნოდარის საჩუქარი . . . . . . . . . . . . . . . . 102
ამხანაგის დახმარება . . . . . . . . . . . . . . 103
მოუფიქრებელი კითხვა . . . . . . . . . . . . . . 104
სასაუბრო—ჭურჭელი . . . . . . . . . . . . . . . 105
ქორი და იხვი . . . . . . . . . . . . . . . . . . 106
ჩინებული საქციელი . . . . . . . . . . . . . . . 106
თავი შეაფარეს . . . . . . . . . . . . . . . . . 108
ნაძვის ხე . . . . . . . . . . . . . . . . . . . 109

Инна Иосифовна Боцвадзе,
Екатерина Иосифовна Бурджанадзе

**Дэда эна ч. I, букварь**

**Учебник для I класса**

**(на грузинском языке)**

---

**Госиздат Грузинской ССР**
**Тбилиси**
**1957**

---

დაბეჭდილია საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში, ქ. თბილისი, ბროსეს ქ., 2.

აკინძულია ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.

**Отпечатано на Фабрике лито-офсетной печати Министерства промышленности продовольственных товаров Грузинской ССР гор. Тбилиси, ул. Броссе, 2.**

**Переплет изготовлен в Комбинате печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, гор. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.**

2 მ. 10 კ.

ც.4/251

ეროვნული ბიბლიოთეკა